

1
1958



ფეხის წვერებით დადისართ
ლაღნი და წელგამართულნი
ქართული სიკისკასითა
„ფერსულითა“ და „ქართულით“
მოსკოვს ეწვიეთ და იგი
დაკისვდათ ვარდთა ფენითა...
არასდროს ჩამოსულიყოთ
დიღების ეიფელიდან.



№ 8 თბილისი აპრილი 1958

საბჭო

გამოცემის XXXVI წელი შპანი 2 შპან.

ნახ. ე. ბერძენიშვილითა

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...

ნან. რ. მახარაძისა

საქართველოს
რადიო-ტელევიზიის
სამრეწველო-სამწარმოო
სამსახურისა

„ისეთი“ ზამთარი იდგა, ისეთი რომ გაზაფხული გეგონებოდათ: უნაღებო, უთოვლო, უწვიმარი! ცვალებადი მოღრუბლულობით და-თალხული ცა თვალეზამომშრალი დასცქეროდა თბილისს და არც ცრიდა, არც ყინჯღავდა, არც შეცივებული ფანტელები ცვიოდნენ ციდან.

საქართველოს რადიოც გულდამშვიდებული აუწყებდა ქვეყნიერებას, მოსალოდნელია უნაღებო ცვალებადი მოღრუბლულობაო.

მაგრამ წინდახედული კაცი მოულოდნელსაც უნდა მოელოდეს დროდადრო. და აი მოულოდნელად მოსალოდნელი უნაღებო ცვალებადი მოღრუბლულობა ნალექიანმა უცვლელმა მოღრუბლულობამ შესცვალა.

საქართველოს რადიო კაცობრიობას ერთხელ კიდევ «ჟუჟუნა წვიმა მოვიდათი» უტკობოდა სმენას, როცა არც აკია, არც აცხელა და ჟუჟუნა წვიმა მოვიდა. მართლა მოვიდა და მერე როგორ!

«უნაღებო» მოღრუბლულობის ნალექმა რადიომაუწყებლობის აპარატურა კინადამ წაღეკა, ახალმოწყობილი სტუდიის ახალგალაქული ჭერი და იატაკი ახლებურად გალაქა და იწყო ჩამოლექვა რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის სტუდიებსა და რედაქციებში. ალბათ ასეთმა თავსხმამ თუ შთააგონა ჩვენი შოთა, როცა წერდა «მისგან გასწორდეს ყოველიო». წვიმამ არ დაინდო არც ქართულ, არც სომხურ და არც აზერბაიჯანულ გადაცემათა რედაქციები, არც ტექნიკური განყოფილება. გამომშვები სექტორიც არ გაუშვა დაუსველებლად და მუსიკალურ გადაცემათა რედაქციასაც წვდა ქეჩოში, თუმცა იგი ისევ ისე უმღეროდა ჟუჟუნა წვიმას.

ერთი ჭეშმარიტება არ იცოდა ჟუჟუნა წვიმამ და ამიტომაც შესცოდა, თორემ, როცა მოდიოდა, სინდისს გეფიცებით, ისეთი კეთილშობილური ზრახვები ჰქონდა, ისეთი, რომ გულიც კი აგიჩუყდებოდა, ყველაფერი რომ ჩამოგითვალოთ. არ იცოდა, რომ სამშენებლო სამმართველოს № 10 კანტორის ქალბატონმა მესვეურებმა: ბალანჩივაძემ, გასპაროვამ და ურუშაძემ არ იცოდნენ რისთვის გააჩნია სახლს სახურავი.

მეტყვიოთ—ტყუი, ეგ შეუძლებელიაო. მაგრამ არა, არა ტყუი, ხალას სიმართლეს მოგახსენებთ.

ქალს შლიაპა ახურავს, სახლს—სახურავი. ქალი შლიაპას თვითონ იხურავს, სახლს სახურავს ახურავენ, ქალი, როცა უნდა, შლიაპას თვითონ მოიხდის, სახლი კი ისე ვერ მოიხდის, თუ სხვა არ მოხდის.

და აი, სხვამ, ესე იგი, № 10 კანტორის მესვეურებმა ბოდიშის მოუხდელად მოხადეს სახურავი კავშირგაბმულობის სახლს, რომ ზედ კიდევ რაღაც რაღაცეები დაეშენებინათ და მთელი წელი თავშიშველი დააგდეს იგი ბედის ანაბარა.

და, აკი მოგახსენიო, ჩინებული ზამთარი იდგა-მეთქი: უთოვლო, უწვიმარი, უნაღებო, მაგრამ მოვიდა ჟუჟუნა წვიმა და მოჰყვა მის ქვეშ კავშირგაბმულობის სახლიც რომელიც, როგორც ამბობენ, «მტერს გარკვეულ უბრავეებს ზღაღებს...» აკი ისეა მოპირკეთებული, რომ სიტყვები: «ვარკი», «ზინბუღა», «მესანიშნავი», «დიდებული», «გადასარევი» და მსგავსი მათნი მერთალღებია მის მშენებელსთან შედარებით—და რომელიც, როგორც ჩვენმა მრავალგზის ნახსენებმა ჟუჟუნა წვიმამ გამარაჟყარავა, ამართლებს ხალხური სიბრძნის მეორე ნაწილსაც... «მოყვარეს კი შიგნიდანაო»!..

«კოდალაგ, სულ კი აკაკუნებ, მაგრამ უენი გაკეთებული ხართ-ტულები ვერა ვნახეო» რომ ამბობენ, ალბათ, № 10 სამშენებლო კანტორის მუშაკებს გულიხსნობენ.

წლების მანძილზე გაუღიო მათ კაკაკუნი ამ შვიდსართულიანი სახლის სახურავზე გულისგამაწვრილებელი მოხოტონურობით და მაინც მათ მიერ აღამიანურად გაკეთებული ჯერ კაცს არაფერი უნახავს.

სახლი ისევ თავშიშველი დგას, ოთახები ისევ ჩამოლაქულია, რადიოკომიტეტის თანამშრომლებს სათლები და კასრები მოაქვთ სახლებიდან, რომ სახურავიდან მოვარდნილი ნალექები შეაკავონ, და მხოლოდ ერთი დამ შეიძვალო. უკვე აღარ გადასცემენ «ჟუჟუნა წვიმა მოვიდას», რადგან მისი მთხელა კარგს არაფერს მოასწავებს სახურავანდილი სახლის ბინადართათვის.

კაკუნი კი ისევ გრძელდება და იგი, როგორც ჩანს, მანამდე არ დასრულდება, ვიდრე № 10 სამშენებლო კანტორის უსუსურ მესვეურებსაც არ ჩაუკაკუნებენ თავში.



ცოლი—აგარაკი...
ჰმარი—ლაპარაკი!!!

მეცნიერებები

ბაკი ბაკში...

გამოცდაზე შევიდა სტუდენტი.
— კულონი ვინ არის?—ჰკითხა ლექტორმა.
დაიბნა სტუდენტი. ვერაფერი უპასუხა.
— თქვენ თუ ამ მეცნიერის სახელი პირველად გესმით, ვერ არის თქვენი საქმე კარგად. ფიზიკაში არაფერი იცით, მიბრძანდით.
სტუდენტმა მშვიდად მოუსმინა ლექტორის განაჩენს და ახლა მან ჰკითხა:
— ვინ არის ტექნიკურ ლიტერატურათა გამომცემლობის ახალი დირექტორი?
დაიბნა ლექტორი. ვერაფერი უპასუხა.
— თქვენ თუ მამაჩემის სახელი პირველად გესმით, თქვენი წიგნის გამოცემის საქმე ვერ არის კარგად.

გუილავის კონკურსი

გამოცხადდა ტყუილების კონკურსი. საუკეთესო ტყუილისათვის პრემიები დაენიშნათ:

- ტყუილი № 1. ამ ზამთარს შეშა ვერ შევიძინე. ქართულ ლირიკას ვკითხულობდი და ვთბებოდი.
- ტყუილი № 2. თეატრში ვიყავით და ისე მოჯადოებული აღმოვჩნდით თანამედროვე პიესით, რომ თეატრის დირექტორი გეგვეწვებოდა: სახლებში წადით, წარმოდგენა დამთავრდაო.
- ტყუილი № 3. პაპა გიომ თბილისში დამზადებული სათვალეები შეიძინა და ეზოში დაგდებულ კენჭს გადააღაჯა.
- ტყუილი № 4. ამას წინათ საწყობის გამგის შვილი შემხვდა და გაიძახოდა: «მენახშირეს ბიჭი ვარ, არ მაქვს ბინა, სახლ-კარიო».



ვ. ანჯაფარიძეს

ნუ გადაგვრევ ამ როლების შესრულებით, ქვრივი ხარ თუ მკურნისიოს ბუბია... შენს სპექტაკლსე უბილეთოდ შესულები ხეებით სეხურბად კვდებიან.

1:6

იმ დღეს მანჯგალაძე ესპანელი მღვდლის როლს ასრულებდა. მოსკოველები ალბათ ყურადღებას არ აქცევდნენ, ჩვენ კი საოცრად გვიკვირდა, რა მოუვიდა ეროსის, სუფლიორის ნიჟარას რომ არ სცილდება, ნუთუ ტექსტი დაავიწყდა!

უცებ მანჯგალაძემ შუბლზე ხელი იტკიცა, ეცა ემანუილ აფხაიძეს და მთელი დარბაზის გასაგონად იღრიალა:

— ექვსით ერთი წავაგეთ, ბარტოლუს ჩემო!

მოსკოველებმა ეს ჩვეულებრივ რეპლიკად მიიღეს, ქართველებმა კი ასე გავიგეთ ჩვენი «დინამოს» პირველი წაგება.

უფრო გვიან გამოირკვა, რომ სუფლიორს პატარა რადიომიმღები ედგა და მანჯგალაძეს თამაშის შედეგს გადასცემდა.



ნიანგის საღაპრო დღესასწაული

მძუხარე ტაში—ნაწყვეტები ბალეტ „ოტელოდან“.

ბის, ბრავო—ხორავას ზედმეტი სახელები მოსკოვში.

ჯაბუქიანი—ოტელოს ნამდვილი გვარია, ახლან დადგენილი.

რიჩარდ მესამე—მოსკოვში რომ პირველი იყო, ის არის.

კონსტანტინე გამსახურდია—სხუათა სიტყვაა, საქართველოში დიდოსტატის მარჯვენას უხმობენ.

შალვა ღალიანი—ვუნდერკინდი.

სუნიშვილი რამიშვილი — დეფიცითური საქონელია, ძირითადად საზღვარგარეთ გააქვთ.

მსპანელი მღვდელი — საქართველოში ამ სახელიერო წოდებაზე მანჯგალაძეა ნაკურთხი.



მ. ჩახავას

სცენის თვალთ, კინოს თვალთ, ტელეს თვალთ, ვინ დაგტოვებს ერთი როლის ამარადა! ვთვალე, ვთვალე... რამდენ რამეს მიკათვალთ, ქურთო ქალო და ნანატრო ამარანტა?

„პრიმა“

შევხვდით რუმინეთის იუმორისტული ჟურნალის «ურზიკას» რედაქტორს.

— ჰკითხეთ ოდიპოსი თუ ნახა. — ეუბნება თარჯიმანს მხატვარი ფირცხალავა.

— და, ეთო გენიანო!

— ვინ ასრულებდა თქვენს დროს?

— გვარი არ ახსოვს. — ამბობს თარჯიმანი. ფირცხალავა არ ცხრება:

— ხორავა?

— ნეთ!

— ზაქარიაძე?

— ნეთ, ნეთ.

— მანჯგალაძე?

— ნე ფომნუ...

ფირცხალავა არ დაიბნა, უცებ ამოიღო რომელიღაც გაზეთისათვის გამზადებული მანჯგალაძის კარიკატურა ესპანელი მღვდლის როლში და უჩვენა რუმინელს.

— და, და, მანჯგალაზე, მანჯგალაზე. — გაუხარდა სტუმარს.

— მაშ მოგეწონათ?

— ო, და, პრიმა, პრიმა!

— მგონი პრიმას გვთხოვს! — თქვა მეტრეველმა და ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— არ მოაწვივინო, თორემ, მოგვეჭრა თავი. — გააფრთხილა მალაზონიამ.





საქო!

მოსკოვში ჩასვლისთანავე ტელეფონით ჩვენს რედაქციას დაუკავშირდით.

- ალო, „ნიანგია“?!
- „ნიანგია“, ვინ ლაპარაკობს?
- მე ვარ, ქალბატონო სონია, გამარჯობათ!
- რას ვფრები, როგორ ხართ? მერტყეული სად არის?
- მერტყეული „პეკინშია“!
- მალაზონია?
- მალაზონია „უკრაინაში“.
- ფირცხალაა?
- „ლუნინგარდში“!
- რამ გავაგვიდა, შენ საიდანა რეკავ?
- მე ყაზახეთიდან!
- ყოლად, ყოლად, თქვენ რედაქტორმა მოსკოვში გაგიშვათ დეკადაზე, თუ სხვა გასურთ?!
- ვიდრე აუფხენი ჩვენი ბიჭები ამ სასტუმროებში დაბინავდნენ-მეთქი, ქალბატონმა სონიამ ყურმილი დაიკვიდა.



მეგობრული ჩივილი

დიდი თეატრის შესასვლელთან ტევა არ არის. ბილეთის შეიწმინთ იმდენი დამწველური აბაღოსულებს გარს გვეყვან და სულს ხდიან

— უკარგავად, ზღმეტი ბილეთი ხომ არ გვენებათ?!

— თუ შეიძლება, გამატარეთ, სპექტაკლებზე მაგინადები

— წუხს ერთი მანდილოსანი.

— ჩვენც ვევაგინდები, ქალბატონო, მოთმინება იქონიეთ.

— როგორ არ გესმით, მე წინავე ვარ, ღებღემონის როლის შემსრულებელი.

— არ შეხვიდეთ, ქალბატონო, თორემ ამ საღამოს უკვე აღ დაგაბრბობთ მაგრი, თქვენი სახე კი მე მომეცითო.—ურჩევს წინავეს უბილეთოდ დარჩენილი მოქალაქე.

დაქვიკვება და გაქვიკვება



„ოტელოზე“ მოხვდი. ბალეტი დამთავრდა. ტაშმა იგრილა. მზერა ცენტრალური ლოჯისკენ გამძვცა, ბელის დელოვად აღდრითოვნებას ვერ ფარავს თავი შევიკავე, თუმცა მეც მთელი ძალით გუგრავედი ტაშს. იმ წამებზე შევწყვიტე, ტენდერსურობა არ დაწეპის მოსკოველმა მაცურებელმა-მეთქი. თან დავაყვირდი, ვინ უკარავდა ტაშს. სწორი გითხრა, გამიყვირდა, თითქმის ყველა ქართველი მაცურებელი სხვებს ავირადებოდა.

უჩიარო

როდესაც გვიტარებს „ნიანგის“ თანამშრომლები ტელეფონით უნდა გამოხვიდეთო, ცრება ოფლმა დაგვასხა, მე კი ინდვილად წაყბავ.

წარმოიდგინეთ, სიტყვა უნდა მეთქვა, ისიც რუსულად.

გამასხენდა ქართული ანდაზა—ყვეს რომ შეილი მოუკვდა და ბუს რომ უფტა; დიდი თავი გავქს და შენ იტირეთი. მივევრიდი ვიგდა ფირცხალაებს და ვიფხვედი—თუ მძა ხარ, ჩემს მაგიერად სიტყვა შენ თქვი-მეთქი, კატეგორიული უარი მიხზრა. რალა გვა მჭონდა, ისევ მე უნდა მეთქვა სიტყვა. რეისორამ მანიშნა, დამწყეო და დავიწყე:

— გამარჯობათ, ძვირფასო მეგობრებო!...—შემდეგ მივეცი და მოვეცი, ჩამოვიყვადე ჩვენი ლეაქმოსილი ძველი თათბის მწერლები, რომლებიც „ნიანგში“ მოღვაწეობენ, მათ შორის, იო თქმა უნდა, კარლო კალაძე. შემდეგ გადავიდი ფელეოსიტებზე. შევიტყვე წინასწარ გამაზღვრულად სიდიდან, რომელსაც ზეპირად ვამბობდი, ვინაღაც დაწეპეყვდა. შევიკამნდი, მიცდა არ შეიძლებოდა, უნდა მეთქვა ნებისმიერა გვეარი, რომელიც გამასხენდებოდა...

— კარლო კალაძე—აღიშობდა გაბარებულს. ცვლავდი, ძალიან ველავდი...ჯერ კი ნიანგში მომუშავე ახალგაზრდა პროზაიკოსებზე და პოეტებზე მიდგა. მეს სიერებამ აქაც მილალატა და იტულბული შევიქეცი კარლო კალაძე ახალგაზრდა პოეტად გამომეცხადებინა.

საღამოს სასტუმროს მოსაცდელში კარლო კალაძე შემეხდა. ჯერ მადლობა გდამიხადა, ყველა ეანრის მწერელში რომ გამსხენდებოდა და თან ახალგაზრდა პოეტად გამომეცხადებ. შემდეგ მისაყვირდა—ბარემ მხატვრებთანაც გესხენდინე, რა აქნაღვლებოდაო.



ლაქია დაქადავა

ერთმა ძებნევეტი ქალმა შემოგვივილა: რაც დეკადა დაწყეო, ვალი დამედიო.

— რატომ?—ვითხეთი გაოცებულეხემა.

— რატომ და მსიხე ტეხილი, არიომატული და შუშუნა ლინინათით მოგვამარკებს საღეკადი, რომ დღეში სა-ოთხ ბოთლს ვეღვებო ბოლოსო.

შემდეგ ნაქეხი ლინინათი გადმომგავაწერა, რომელსაც იარლითის ზემით ეკრა წარწერა: „საქართველის ხელმძღვანელის და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში“.

— ერთადერთი წყაღარევი ნომერი დეკადაზე.—შეინა ერთმა იქვე მდგომმა მოსკოველმა.



საუბარმოყვარეობა

ჩვენს მეზობელ ნომერში ტაჯიკები ცხოვრობდნენ. თითქმის მთელმა დეკადამ ისე ჩაიარა. დიმილსა და კეთილი მისალმების მერე არავერი გვაკავშირებდა ერთმანეთთან... ბოლოს, ჩემოდნებით ხელში რომ დავგინახეს, მოვიდასლოვდნენ და თავი გავაცვენეს.

— ჩვენ ტაჯიკები ვართ, თქვენ სტუმრები ღვავდახე.

— აი სტუმართმოყვარეობაც ასეთი უნდა.—ჩაერდა საუბარში მეორე ტაჯიკი.—მოსკოვში მივარდა სტუმრები ქართველებმა.

სხეილის ვალაქი


„მარინა“ წარბარებით წავიდა მოსკოვი რადიოს საშუალებით რუს მაცურებელს საშუალება ეძლეოდა—კარგებით ხუტხუტი თარგმანი მოესმინა. დარბაზში ვაბუყეტელ სიცილი იმსოდა. ვერ იცინოდნენ თბილისელები. შემდეგ—მოსკოველები. რა მოხდა? თურმე მათსავერდილი ციკალი თრგმნა მოქმედების შესვლასთან. სწორედ ამით იყო გამოწვეული ტალღისებური სიცილი.



საბარლო

სპექტაკლი დასასრულს უახლოვდება. დარბაზი ისე ვატრუნულა, ბუხი ადამიანის სუნთქვას გაიგონებს. მაცურებელთა წინაშე დგას ბრმა ოილიანო. გრიალებს ტაში. ათასობით ალტაცეული მაცურებელი ყვავილებს ესერის აკაცი სორავას. გამოჰყავთ ფარდის წინ ერთ-ჯერ, ორჯერ, ხუთჯერ, ათჯერ, თხუთმეტჯერ, თვარმეტჯერ, ტაში კვლავ გრიალებს. ბრმა ოილიანის კი ადარ გამაბნის.

— საბარლო, მგინი დაყრუვდა კიდეც—წუხს ვილაქა.



გამოცდამ ბრწინავდა ჩაიარა. რაკეტამ გაიანაცვლა ვაშვების პუქტადან საშინელი დახალდობის მანქანაზე, წამაბეჭოთი დახსლი მრავალი წინააღმდეგობა, მიღწეა შედარებითა აკავშირდა და იქ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უაწეულად დაეშა.

ნაღვრევი გამომგვიღვობა


დასკენითი საღამოს წინ პოეტი ხუტა ბერულავა რადიოთი გამოვიდა და წინასწარ დაწევილიდა მოსკოველებს.

— მშვიდობით, ძვირფასო მოსკოველებო!

საღამოს სასტუმროს მოსაცდელში შეგხვდი, იცინოდა.

— რა გავინებს, ხუტა?—ვითხე.

— როგორ რა მაცინებს, ნაცნობები აღარ მესალმებინა, წასული ვგონივარ, ერთმა ისიც მიხზრა, როგორ ვაგზართ პოეტ ხუტა ბერულავასო.



ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ საქართველოს მწერლების კავშირიდან 1937 წლის 6 დეკემბერს, 12 საათსა და 55 წუთზე გაშვებული იქნა საკონტინენტთაშორისი ბალესტიკური რაკეტა „იგრა“.

შელოცვები და წამლები შეშინებულისა



— რატომ არ შედის ხალხი თეატრში?
— ვიდრე ამ წარწერას არ ჩამოხსნიან, ვინ გაბედავს შიგ შეხვლას.



ერთგული სიყვარული

შეირთო პირველი მეორე ნახევარი.
პირველად ყოველთვის მეორე ნახევარს ადღევრძელებდა.
გაეყარა.
შეირთო მეორე მეორე ნახევარი.
პირველად ისევ მეორე ნახევარს ადღევრძელებდა.
მასაც გაეყარა.
შეირთო მესამე მეორე ნახევარი.
პირველად ახლაც მეორე ნახევარს ადღევრძელებს.
ასე ერთგულად უყვარს მეორე ნახევარი.

ძაბაშობი

ლექსიკონი

ხაში— „პახმელიაზე“ მისწრებაა, თუ მიუსწარი.
ბალიში—თავდადებული.
ლილი—თავაწყვეტილი.
სოხისი—ლუდის გარეშე მისი ფასი 2 მან. 53 კაპიკია.
ტელევიზორი—მეზობლებთან დაახლოებისა და გათიშვის საუკეთესო საშუალება.
კბილი—მერყევი ელემენტი.
მზეხუმზირა—სტალიონზე საკმელია. კამის ტემპი დამოკიდებულია თამაშის ტემპზე.
მეფეოვე—ქუჩის მგველი. „მეფეოვეს“ განგებ ეძახიან, იქნებ ეზოც დაგავოსო.
ენა—მორბენალს რომ წინ უსწრებს.

შოთა ჩანტლაძე

თუ სამსახურში უფროსმა დაგეყაროს და შეგეშინდეს (დაგეკარგება მადა და ფერი, ძილი და მოსვენება):
აილე 4 ლიტრი შავი ღვინო. 2 ბოთლი ლიმონათი. 2 კილო სამწვადე ხორცი. თევზული (1 კილომდე ეყოფა). აურიე მწვანელი, ბოსტნეული. მერე აილე პატარა მაგიდა. გადაათინე სუფრა და ზემოთ ჩამოთვლილი წამლები ზედ დაალაგე. დაუძახე უფროსს. მერე აილე ნახევარლიტრიანი ყანწი. აავსე ღვინით და ხმამაღლა უთხარი უფროსს ეს შელოცვა:
„პატივცემულო უფროსო! მე იმ დღეს გაგაბრაზეთ, ნერვები ავიშალეთ ჩემი უჭკუო, მოუფიქრებელი, უიდეო საქციელით. თქვენ მეტად უნდა დაგესაჯეთ. მაგრამ თქვენ მეტად კეთილი გული გაქვთ. მე მთელი ღამეები არ მეძინა. თავი დავენებოთ ამას, მაგიდაზე სამსახურის ამბავს ნუ გავისვენებთ! თქვენი სადღევრძელო იყოს! მე პირფერობა არ მახასიათებს და ამიტომ ვიტყვი პირდაპირ და თამამად: თქვენ ჩვენი სამსახურისათვის მოვლენა ხართ, განუმეორებელი. ნამდვილი ზეუდრეკელი, სამაგალითო, თავმდაბალი და ღირსეული ხელმძღვანელი ამხანაგი.“
ყანწში არ დაგრჩეს წვეთი, გადმოაყირავე და ძირზე აკოცე სამჯერ, მერე შესძახე ერთხელ: „ასე მტერი დაგეცალოს!“ და მერე ისევ სამჯერ აკოცე უფროსს და შიში მეორე დღისთვის უკვე გაივლის.

თუ ცოლმა შეგაშინოს

აილე 50 ცალი ასმანეთიანი, დაკეცე ოთხად და ჩაიდე მარცხენა გულის ჯიბეში. ნახე შენი ნაცნობი, იყიდე ციგეიკის ქურჭი. ქურჭის ჯიბეში ჩაღე გაგრის საგზური. ფეხაკრეფით მიდი საწოლთან და მიძინარე ცოლს თავთან დაუდე. შიში გაივლის.

თუ ბნელმა, ანგრეულმა ქუჩამ შეგაშინოს:

სამჯერ გაიხსენე, რომ არსებობს დადგენილება ამ ქუჩების კეთილმოწყობისა. ორჯერ დაიყვირე თხრილში ჩაეარდნის დროს და ერთხელ მოიწმინდე ოფლი. როცა სამწვინლობს გახვალ.

ჰიპოკრიზები

უბრალო წამალი

იგი ნიჭმა გააწმილა,
ჩასცა—საქმე დიდოვია, —
აქნებ ღვინობ გააჯვილა
უნაწმარე კვიციანია.

საწყენი საძმე

აბ მწყინს ნინე პოეტიოა! (პაფატა ხაბ,
მავრამ რა გქნათ: ვანა ყვულა
გთუთა!)
მე ისა მწყინს: ნინე პოეტი რად არა
საბ
ჩვენს მიწაზე, სადაც ყვულა პოეტიოა?

აკაკი გელოვანი



მომხმარებელი—ეგ მაკრატელი მომყიდეთ.
 ნოქარი—ვერ მოგყიდით, ამ მაკრატლით ოთხი ოჯახი ირჩენს თავს.

ლია ბარათი

ქ. თბილისის

ფოსტამტის უფროსს

ამხ. გაბიტაშვილს

დიდად სანატრელი ავთანდილ გიორგის-ძე!
 დანდევთ თუ არა ამ წარწერებს, მაშინვე მიხედვით ფოსტამტის რომელ კედლებს ამწვენებენ ისინი.
 1. საქალაქთა შორის მოხალაპარაკებელი სადგური.
 2. ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხელისმწერა.
 3. საქალაქთაშორისო მოხალაპარაკებელი შეკვეთების მიღება.



დედის მოყვარული და პატივისცემელი შვილი.

ჩემი სპეციალობა დიდადა დაშორებული მედიცინასთან, მაგრამ ვიცი, რომ ფსიქოთერაპიას უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა. ამაში კიდევ უფრო დამარწმუნა ერთმა შემთხვევამ.

საზამთრო არდადეგებზე ცოლ-შვილი მამისეულ სოფელში გავამგზავრე, მეც ორიოდე დღის შემდეგ იქითკენ გავეშურე. სხვა ტკბილეულთან ერთად ცოლ-შვილთან ლიმონათიც მიმქონდა.

როცა სოფლის შარავნა მოვლიე და იმ შუკაში უნდა ჩამეხვია, სადაც ჩვენი ცხოვრობდნენ, რაღაც ჩოჩქოლი შემომესმა.

— რაღა ახლა შეფერხდა მატარებლის მოძრაობა, ახლა უკვე ჩამოსულიც იქნებოდნენ,—ელაპარაკებოდა ჩემს მეზობელ იასონს მამამისი.

როგორც კი მათ სახლს მივუახლოვდი, იასონმა სალამი შემომამება, ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა:

— ბებია გვყავს ცუდად და თბილისიდან შალვას ველოდებით, პროფესორი უნდა ჩამოვიყვანოს.

— ასეთი რა ჭირს ბებია თებროლეს, რომ პროფესორის ჩამოყვანა აუცილებელია?

— სამაგისო არაფერი, მაგრამ მოხუცმა ისე დაქინებით მოითხოვა, რომ სხვა ექიმების არაფერი სჯერა.

გადავწყვიტე მენახა ბებია თებროლე.

— დამინახა თუ არა მოხუცმა, სახე გაუნათდა, ლოგინზე წამოიწია და მითხრა:

— მოზრძანდით, ჩემო ბატონო, თქვენ თუ მიშველით, თორემ სხვა იმედი არა მაქვს.

შეცბუნდი, და ის იყო, უნდა მომეგონებია მოხუცისათვის, რომ მე მათი არც ისე შორეული მეზობელი, სპეციალობით ინჟინერი ვარ, რომ იასონის დაღმეჭილ სახეს მოვკარი თვალი: ყელზე ორი თითი მიედო და უსიტყვოდ მელაპარაკებოდა, არ გამეწვილებინა.

უცებ ხელში შემომაჩეჩა სტეტოსკოპი, რომელიც შალვას დარჩენოდა. და ბებიაჩემის «გასასინჯად» მიმიწვია.

ყალბ მდგომარეობაში ჩავარდნილს გული ჩემს თავზეც მომდიოდა და იასონზეც, მაგრამ გამოსავალი არ იყო: ვიფიქრე უარის თქმამ ვაითუ ცუდად იმოქმედოს ავადმყოფზე-მეთქი და «მოვისმინე» მოხუცის გულსცემა.

მოხუცი დავაშვიდე, საშიში არაფერი გაქვთ-მეთქი და «რეცეპტის» წერას რომ შევუდექი, «პაციენტმა» მორიდებით მკითხა:

— როგორც ჩანს, წამალიც წამოგილიათ. პაციენტ-ცემულო პროფესორო, — და მიმითია ჩანთაზე, რომლიდანაც ლიმონათის ბოთლები მოჩანდა.

ერთ უბედურებას მეორე მიემატა, მაგრამ არც ახლა იყო უკანდასახევი გზა და მეც ლიმონათი საღვინე ჭიქით მივაწოდე ავადმყოფს.

მოხუცმა, დალია თუ არა, კმაყოფილი თვალებით გადმოხმედა და მადლიერად მითხრა: ისე მომიხდა, რომ გულიდან თითქოს ტვირთი ჩამომეხსნაო.

ერთი გაცინება ყველაფერს მერჩია და თან სინდისის ქენჯნაც მაწულებდა, რომ ცულღუტი ახალგაზრდის საქმე გავაკეთე, მაგრამ ოდნავ ის მამშვიდებდა, რომ მოხუცს სულიერი შვება მიეცეო პროფესორის ჩამოსვლამდე, რომელსაც, ალბათ, კიდევ დაავგიანდებოდა ერთი დღე თოვლიანი გზების გაწმენდამდე.

8. ირაკლიშვილი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 8. ხელმოწ. დასაბ. 22/IV-1958 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 353. უფ. 02675. ტირ. 40.000.

587/85

დიდოსტავო კონსტანტინეს მარჯვენა ქვერბმული
გინგლიძისა



დიდოსტავო
მარჯვენა
გინგლიძისა

PARIS

ნახ. ე. ბერძენიშვილისა